

# ოზურგეთში ევროპული სტანდარტებით აშენებულ ტუალეტს ყვავილებით მოვაჭრეები საფოტოგრაფიად იყენებენ



**ქეთი ბოლქვაძე, სალომე ცოგიაძე**

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში ევროპული სტანდარტებით აშენებულ საზოგადოებრივ ტუალეტს, გარკვეული

საზღაურის გაღებით, ყვავილებით მოვაჭრეები ყვავილების საწყობად იყენებენ.

ამის შესახებ „ალიონს“ ოზურგეთელმა მოქალაქეებმა აცნობეს, რომლებმაც ვინ-

აობის გამხელისაგან თავი შეიკავეს:

„პოლიტიკოსებს რომ დასდევთ კულში, თვალი გაახილეთ და პაწა ხალხისკენაც მიხედეთ. ავერ ქალაქის ცენტრში, ყვავილებით რომ ვაჭრობენ, იმის გვერდით რომ ახალი ტუალეტი, იმას მეყვავილები საწყობად იყენებენ. ვაჭრობის დამთავრების შემდეგ, დარჩენილ ყვავილებს საღამოს ამ ტუალეტში ინახავენ, დილით კი გამუქვით და ვაჭრობენ. ტყულა ვინ დუუთობს, რომ უხდიან, ნამდვილად ვიცით, მაგრამ ვის და რამდენს, მაი ვერ გევიგეთ ვერ. ისე, ჩივიან, 300 ლარადაა გაქირავებული“.

ადგილზე მისულებს, ეს ინფორმაცია ყვავილებით მოვაჭრეებმა არ დაგვიდასტურეს, შეგვიწყინენ კიდევ, ყვავილებს კი ნატუალეტარისა არაფერი ეტყობოდა. მხოლოდ იმის დადგენა შეუძელით, ისიც სხვისგან, რომ ტუალეტის გასაღები ნამდვილად მათთან ინახებოდა. 24 აპრილს, დაახლოებით დილის 10 საათისათვის საკუთარი თვალთ დაინახეთ ერთი ყვავილებით მოვაჭრე ქალბატონი, გასაღებით ხელში, როგორ მიადგა ტუალეტს და შეგვამჩნია თუ არა, კარი მაშინვე დაკეტა.

ყოველივე ზემოთქმული ბაღებს არცთუ უსაფუძვლო

ეჭვს, რომ ოზურგეთში მაკანი ხელს ითბობს ვერ კიდევ ექსპლუატაციაში შეუსვლელი ტუალეტი.

ამ ობიექტის სხვა მიზნით გამოყენების მიზეზი, უპირველესად, ის არის, რომ 2012 წლის აგვისტოსექტემბერში დამთავრებული ეს ობიექტი დღესაც არ არის ჩაბარებული და საექსპლუატაციოდ გადაცემული.

მივიკითხო-მოვიკითხეთ და მეორე დღეს, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, სამუშაოთა მწარმოებელს, ინდემწარმე მიშა სიამაშვილს მივაკითხეთ, რომელიც, თავის მხრივ, გაოგნებულია. საქმე ისაა, რომ ტენდერში გამარ-

ჯვებულმა შპს „იმედი 10-მა“ (თბილისი, ჭიჭინაძის № 1) მუშებისა და მალაჩიების ვალი მას შეატოვა:

„რა ვითხრათ? ჩემი გამჭირვებია. „იმედი-10-ს“ მთავარ ინჟინერ ჩახვადეს ჩემთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე ხელი არ აქვს მოწერილი. ჩემს ანაზღაურებას ვინ ჩივის, მალაჩიების 5878 ლარი და მუშახელის 400 ლარზე მეტი მე შემატოვეს გადასახდელად. მეტი იყო და, რაც შეეძლო, გადავიხადე. სახლში მაკითხავს ეს ხალხი და თვალს ვერ ვუხ-



## ა ლ ი ო ნ ი

უბგველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ბაზაქი ბაგოძის 1931 წლის 5 იანვარი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული ბაგოძის. №17 (10107, 27 აპრილი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი).

### საკრებულოს სხდომა მორიგი დებატებით

**ალიონი.** გასულ ხუთშაბათს, ქ. ოზურგეთის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა და ექვსი საკითხი განიხილეს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გონა ძიმისტარიშვილმა წარმოადგინა კომისიის დასკვნა ფრაქცია „ოზურგეთი ჩემი ქალაქია“ რეგისტრაციის შესახებ.

აღნიშნული ფრაქცია 8 აპრილს დააფუძნეს დეპუტატებმა ნანული ორაგველიძემ, ნინო ტაბატაძემ, ირინა საჯაიამ. ფრაქციის თავმჯდომარედ ნანული ორაგველიძე აირჩიეს.

საკრებულომ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილება 9 მისის, ფაშინაშვილმა გამარჯვების დღის ონისიძეებმა გამართვისათვის შეიტანეს.

საკრებულომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, ქ. ოზურგეთის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკართო, ასევე ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა, ადრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემისა და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

კვლავ განხილვის საგანი გახდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ქალაქ ოზურგეთის მუნიცი-

პალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის საკითხი.

ქ. ოზურგეთის ცენტრალურ ზონაში 1 კვ. მეტრი მიწის ნორმატიული ფასი 7.4880 ლარია; ქალაქის შუალედურ ზონაში – 3.744 ლარი; ქალაქის პერიფერიულ ზონაში – 2.1840 ლარი.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შესადგენად 85 ათასი ლარი გამოიყო.

ობიექტის რეაბილიტაცია და დასრულება გამოიწვია ა(ა) იპ „ოზურგეთის კულტურის ცენტრის“ და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ რეორგანიზაციის დაწყების შესახებ.

– მთავარი აქცენტი ამ ორი დაწესებულების გაერთიანებისა განსწავლეთ ის მოტივი, რომ სამი თაობა ერთიანდება, სამივე ასაკობრივი ჯგუფი იქნება ერთ სივრცეში მოთავსებული. აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რომ ხარისხი იყოს უკეთესი კულტურის განვითარების კუთხით. გაერთიანებულ ორგანიზაციას ექნება ერთიანი მენეჯმენტი, გაუმჯობესდება პირობები, განთავსდება კინოთეატრის შენობაში, მეორე სართულზე, შენობის ინფრასტრუქტურის კუთხით

### რა ბედი ელის პსპ-ს ამ შენობას???



**ალიონი.** ალიონი. სიტყვას საქმე რომ მოჰყოლოდა, ოზურგეთის გულისგულში მდებარე ამ სამსართულიან შენობაში, ვერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, აფთიაქი-კლინიკა უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ...

არა მგონია, მკითხველს არ ასსოვდეს გაჭინაშვილი დაგა ამ ტერიტორიისთვის ადგილობრივ შპს „ჭალასაფარსა“ (ტაქსები) და თბილისელ ინჟინერ ინგესტორს თუ ინვესტორებს შორის.

აფთიაქი-კლინიკის მშენებლობის თაობაზე ოზურგეთის საზოგადოების აზრიც ორად იყო გაყოფილი: ნაწილი მიიჩნევდა, რომ არცთუ ისე განიერ გზაჯვარედინთან სამსართულიან შენობის აგვით შეფერხდებოდა ტრანსპორტის მოძრაობა და ჩაიკეტებოდა ქალაქი, დაბინძურდებოდა ტერიტორია; მეორე ნაწილის აზრით კი, აფთიაქი-კლინიკა გარკვეულ შემოსავალსაც მისცემდა ადგილობრივ ბიუჯეტს და არქიტექტურულად

დადამშენებდა ქალაქს (ისევე დაუმშენებელი ცხვირი). ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საკითხი დადებითად გადაწყდა და სამშენებლო სამუშაოები ისეთი ტემპით დაიწყო, არავინ იცოდა თავიანთი ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებას პსპ დაასწრებდა ქალაქის ცენტრში, თუ „ავერსი“ – სერზე.

არაოფიციალური ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომე-

ლიც მაშინ ახორციელებდა პროექტს „100 ახალი საავადმყოფო“, უპირატესობა „ავერსის“ ობიექტს მიანიჭა, პსპ-ს საქსპლუატაციოდ გამზადებული შენობა გაიყინა და დღეს იგი ფაქტობრივად ტაქსების „ტყუილია“.

ვერჯერობით უშედეგოდ დამთავრდა ჩვენი მცდელობა, გავგვეო, პსპ-ს ეს შენობა პერსპექტივაში დარჩებოდა აფთიაქ-კლინიკად თუ შეიცვლიდა პროფილს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოცემული ადრინაწერიდან ჩანს, რომ ეს ობიექტი დარეგისტრირებულია სამი წლის წინათ, 2012 წელს და მისი მესაკუთრეა შპს „ასპ-აფთიაქი“. რწმუნებულება აქვს მალნაზ ჯანაძეს, მცხოვრებს ქალაქ თბილისში, მეტრეველის №17-ში, ხოლო დარეგისტრირა კასაბერ ფანჩულიძე. ამ პირთა საკონტაქტო ტელეფონების მოცემისაგან, კონფიდენციალურობის მოტივით, საჯარო რეესტრში თავი შეიკავეს.

იმეღს ვიტოვებთ, ბატონები მალნაზ ჯანაძე და კასაბერ ფანჩულიძე გაეცნობიან ამ ინფორმაციას, გამოიჩინენ გულისხმიერებას და აცნობენ ოზურგეთელებს. თუ რა ბედი ელის პსპ-ს ამ შენობას.

ქალაქის ცენტრში 148 კვადრატულ მეტრი ფართის მქონე სამსართულიანი კაპიტალური ნაგებობა, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, უდავოდ მიზანშეწონილია უფუნქციოდ იყოს და იგი მიზერულ შემოსავალს მაინც უნდა აძლევდეს ადგილობრივ ბიუჯეტს.





## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მილიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მილიანი გვერდისა – 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მილიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მილიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა მკვეთრი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამელოვიარი განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გასწვნიება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან აღიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად:
- საჯალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით - 12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**

რედაქციის  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100

საინფორმაციო სამსახურის  
ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანი“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაინყეთ ყოველი მიზნობრივი აქტივობა**

«ალიონი»

## ოზურგეთში ეპროკურული სტანდარტებით აწესდულ ტუალეტს ყვავილებით მოვაჭრეები საწყობად იყენებენ

წორედ ვერც ერთს“.

გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, ოზურგეთიდან გაუჩინარებული შპს „იმედი-10-ის“ ხელმძღვანელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ცნობილი სახის დავით კირკიტაძის ძმაა. მოპოვებული საკონტაქტო ტელეფონი ჩვენს ზარებზე არ პასუხობს. ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, „იმედი-10-ს“ ყადაღა ადევს. მიშა სიამაშვილის თქმით, ოზურგეთში ეპროკურული სტანდარტის საზოგადოებრივი ტუალეტის მშენებლობა 2012 წლის დასაწყისში დაიწყო და ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში დაამთავრეს. „ვალები და სტანდარტები მტკიცედ დაცვილი, საქმეს 2011 წლის დასაწყისში შევედგეთ და იგი ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში დავათავრეთ. „წყაღკანალი“ სათავო ოფისმა მიიღო, მაგრამ ადგილობრივს ვერც არ ჩაუბარებია ობიექტი. ესაა, ალბათ, ერთადერთი მიზეზი, რომ ქალაქში ახალი სველი წერტილი თავისი პროფილით დღემდე არ მუშაობს“.

ისში დაიწყო და ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში დაამთავრეს. „ვალები და სტანდარტები მტკიცედ დაცვილი, საქმეს 2011 წლის დასაწყისში შევედგეთ და იგი ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში დავათავრეთ. „წყაღკანალი“ სათავო ოფისმა მიიღო, მაგრამ ადგილობრივს ვერც არ ჩაუბარებია ობიექტი. ესაა, ალბათ, ერთადერთი მიზეზი, რომ ქალაქში ახალი სველი წერტილი თავისი პროფილით დღემდე არ მუშაობს“.

სიამაშვილი არ ფლობს ინფორმაციას საზოგადოებრივი ტუალეტის მავანთაგან ხელის მოტოობის მიზნით გამოყენების შესახებ: „ნამდვილად ვერაფერს გეტყვით, მსგავსმა ჭორმა ჩემამდეც მოაღწია, მაგრამ ჭორს ხომ არ ავყვები ამხელა კაცი“.

როგორც მიშა სიამაშვილმა გვითხრა, მსგავსი სველი წერტილები სხვა ქალაქებშიც არის აშენებული და თითქმის არსად მუშაობს: „მსგავსი სველი წერტილები აშენდა ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისში, ლანჩხუთში. ქუთაისსა და

## საკრებულოს სხდომა მორიგი დეზატებით

მოწვევების შემდეგ, თანამშრომლებს ექნებათ მუშაობის ნორმალური პირობები, – განაცხადა ქ. ოზურგეთის მერიის განათლების, კულტურის სამსახურის უფროსმა მარინა ჯაფარიძემ.

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ლევან მგელაძემ და თამარ ნადირიძემ პროტესტი გამოთქვეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და კულტურის ცენტრის გაერთიანებასთან დაკავშირებით და განმარტეს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი არის დიდი ტრადიციებისა და 75 წლის ისტორიის მქონე, რომლის გაუქმებაც ოზურგეთის ისტორიის წაშლას ნიშნავს. მით უმეტეს საქართველოს 37 ქალაქში არის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.



ნიშაცების გაერთიანებას. დააყენოთ წინ ქალაქის ისტორია და არ გაუქმდეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. თუ ეს ასე მოხდა, ჩათვალეთ, რომ გაუქმდა ოზურგეთის ისტორია. თამარ ნადირიძემ კი ფრაქციის სახელით კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მიმართა: – დღევანდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ დაგწმუნდი, რომ ქალაქს მერი კი არ ჰყავს, არამედ ბატონ - პატრონი. „ბატონი“ მართავს არა მარტო ქალაქს, მერიას, არამედ მთელ საკრებულოს, მას საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციაც აქვს შეთავსებული. თუ კი ვინმე საკრებულოს სხდომაზე განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, გადადის შეტევაზე და ღიად აცხადებს, რომ არ აინტერესებს ჩვენი აზრი. მე გადავდივარ პოლიტიკურ მოწოდებაზე, როგორც საკრებულოს დეპუტატი და ჩემი ფრაქციის სახელით მივინდა მივმართო „ქართულ ოცნებას“, იღებს თუ არა მერის ქმედებებზე კოალიცია „ქართული ოცნება“ პასუხისმგებლობას, იმაზე, რაც ოზურგეთში ექვსი თვის მანძილზე ხდება? ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ ბრიფინგსაც ჩავატარებთ. მერის ქმედებები გასცდა ყოველგვარ ზღვარს, ეს არის ძალიან ცუდის მომასწავლებელი. როგორ შეიძლება დეპუტატის ინტერესი არ აინტერესებდეს მერს?

ქალაქში ორი ა(ა)იპ-ის რეორგანიზაცია? და ფიქრობთ რაზე ვსაუბრობთ საერთოდ? ასე არ გამოვა, თუ გვინდა ქვეყნის აშენება, უნდა წავიდეთ რაღაცაზე, უნდა გავანაწილოთ ვიღაცა, სხვანაირად ვერ მოხერხდება, მე მაწუხებს პირველ რიგში ეს, მეელი და კრავი კი არ არის რომ შეჭამოს კულტურის ცენტრმა ახალგაზრდობის სახლი? ნუ მასწავლით ყველაფერში ჭკუას, ბრძანეთ თქვენმა აზრი და დაასრულეთ როგორმე, – აღნიშნა ქალაქის მერმა.

პლუსებსა და მინუსებზე საუბარი და შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, გაერთიანდეს ეს ა(ა)იპ-ები თუ არა. საკითხი კენჭისყრაზე დადგა. რეორგანიზაციის დაწყების წინააღმდეგ ხმა მისცეს ლევან მგელაძემ, გონა მგელაძემ, თამარ ნადირიძემ. \* \* \*

საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ ბრიფინგი გამართეს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე ლევან მგელაძემ და წევრმა თამარ ნადირიძემ: – აქ გაიზარდა უამრავი საზოგადო მოღვაწე და კარგი თაობა, მათ შორის მეც. ჩემი მეგობრებისთვისა და თანატოლებისათვის ეს არის ისტორია, მათ შორის მათთვისაც კი ვინც დღეს თანხმობა მისცა ამ ორგა-

## ერთჯერადი დახმარება ომის ვეტერანთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახებს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 1800

ვეტერანი ერთჯერადად 1000-ლარიან, ხოლო მარჩენალდაკარგული 500 ოჯახი 500-ლარიან დახმარებას მიიღებს.

## ქალაქის მერი ბინათმესაკუთრთა ამხანაგობის წევრებს უმხვდა

24 აპრილს, ქალაქის მერი გურამიშვილის ქუჩის 7 კორპუსის ბინათმესაკუთრთა ამხანაგობის წევრებს შეხვდა. მობინადრეების ინიცირებული შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შედგა. მოქალაქეებმა ბევლარ სიორიძეს კორპუსის რეაბილიტაცია თანადაფინანსებით შესთავაზეს. როგორც შეხვედრაზე ამხანაგობების წევრებმა აღნიშნეს, შენობას ექსპლოატაციაში შესვლიდან დღემდე რეაბილიტაცია არ ჩატარებია. პრობლემაა როგორც

გარე ფასადი, ისე წყალგამტარი და წყალშემკრები მილების არქონა. მერმა კორპუსის მონახულება და პირველადი ხარჯთაღრიცხვის შედგენა შესაბამის სამსახურს დაავალა, რომლის წარმომადგენლებიც ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ. სარეაბილიტაციო სამუშაოებში ბინის ამხანაგობის წევრები მონაწილეობას თანადაფინანსებით მიიღებენ. ფინანსების 70% - ს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია დაფარავს.

## თუ ისე ასწავლით და ისწავლით, რომორც მორიგ საჯაროში, ვიზინიერებას წინ ვერაფერი დაუდგება

„ალიონი“. ანი ლეუკვა, მარინა თუველოძე, ნუცა ლლონტი, ლიზი ჯიმშაშვილი, არჩილ ხომერიკი, ლალი კოლაძე, ვეფა ცხიტიძე, ვიორი წიტიანიშვილი, ლალი მეტეხიანიშვილი, ნატა ჩიტიანიშვილი, ანა ანდლოლაძე, მარია შარაშიძე, მარია ჩხატარაშვილი, სალომე ჩაგუნავა, ვეფა შარაძე – დამახსოვრებული ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, წინიდან „მეტეხიანის“ კვიკვიკი რომ ესმით“, თავიანთი რჩეული მწერლების ჩანაფიქრს ბოლომდე წვდებიან, ანალიტიკურად, იმპროვიზებულად აზროვნებენ, ანუ მაღალი დონის მკითხველები არიან. არ გამოვიცხავთ, რომ ამ ბავშვებიდან რამდენიმე მათგანი მალე მხატვრული სიტყვის ოსტატად კი მოვევედინოს და მათ ნამუშავეს ანალოგიურად დაეწავოს მკითხველი. მოსწავლეთა წინიერების დონის ამდლების მიზნით, ხსენებულ სკოლაში 23 აპრილს გამართული ღონისძიების ინიციატორი გახლდათ ღვწლმოსილი შურნალისტი, ქალბატონი ეთერ ქაქვიანიშვილი, ხოლო ორგანიზატორები – სკოლის პედაგოგები, აღიარებული ფოლოლო-

გები, ქალბატონები ნინო ბილიხოძე და მარინა ტაბიძე. გაგანია კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის ხანაში, სხვაგან თუ წინიერი მკითხველი სანთლით საბჭო-არია, მე-2 საჯარო სკოლაში, ყოველ მერსზე წინიერი ერუდიტი მოსწავლე უის. ყოველ შემთხვევაში, რაც აქ 23 აპრილს ვინილით, იმის სხვანაირად აღწერა ჟურნალისტისაგან შეუძლებელია. ტრადიციულად დიდ ტრადიციებს არ ღალატობს ეს სკოლა (დირექტორი ფატი სიორიძე), მეტიც, ყოველდღიურად ამდიდრებს, ავითარებს და ამრავალფეროვნებს ამ ტრადიციებს. შესაბამისად, ღონისძიებაზე გამოვლენილი წინიერების მაღალი დონე არ გაგვიკვირდება, რადგან აქ პედაგოგისა და მოსწავლის დონე მაღალია, აკადემიურია. მოკლედ, თუ ისე ასწავლით და ისწავლით, როგორც მორიგ საჯაროში, წინიერებას წინ ვერაფერი დაუდგება. ყოველივე ამის გამო, ჩვენი ნება რომ იყოს, ოზურგეთის №2 საჯარო სკოლას ქალაქში ვარსკვლავს გავუსწნილოთ.



# დაუბრუნდება თუ არა სკოლას ოთხი მოზარდი?



**ალიონი.** ეს თემა დღეს აწუხებს როგორც ოზურგეთის განათლების დარგის მესვეურებს, ისე სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობას, ურნალისტებს...

მიზეზი დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორ სპარტაკ გოგიტიძეს და ამ ბავშვების მშობლებს ამირან შავაძეს შორის შექმნილი დაძაბული ურთიერთობაა.

ამ წერილში ჩვენ მხოლოდ არსებული მდგომარეობის მიმოხილვით შემოვიფარგლებით.

**ამირან შავაძე:** – 2013 წლის მაისში ნასაკირალის საჯარო სკოლაში გაიმართა სამეურვეო საბჭოს არჩევნები. საბჭოში აირჩიეს სპარტაკ გოგიტიძე, სხვა სამი პედაგოგი და მმისწვლილი ზურაბი. ავტორიტეტი რომ არ გვქონდა, არ აგვირჩევდნენ. თუ ეს კანონდარღვევა იყო, – უნდა სცოდნოდით.

2014 წლის 21 ნოემბერს გაიმართა სკოლის დირექტორის არჩევნები. დირექტორობის კანდიდატი სპარტაკ გოგიტიძე იყო. მას არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. დანარჩენებმა ყველამ ხმა მივეცი და დირექტორად ავირჩიეთ.

ამის შემდეგ, რაც მე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატა სკოლაში მასწავლებლების მიერ

გაკვეთილების გაცდენის, სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების ასვლის და მსგავს თემებზე ჩემსა და დირექტორს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ჩემი სამარშრუტო მიკროავტობუსით ბავშვები გადაამყავდა სკოლაში. პროფესიონალ BCD კატეგორიების მძღოლს შემოწვდითა ხელშეკრულება და სამსახურში აიყვანა ისეთი მძღოლები, რომელთაც დაბალი კვალიფიკაცია აქვთ ან არ აქვთ მართვის მოწმობა. მე განცხადებით განათლების სამინისტროს გენისპექციას მივმართე. დაიწყო საქმის მოკვლევა. მათ დაადასტურეს, რომ ჩემ მიერ აღწერილი ფაქტები ხდებოდა და იყო ბევრი კანონდარღვევა სკოლაში. მაგრამ იმავე დროულად განათლების სამინისტრომ გამომიგზავნა წერილი, რომ გათავისუფლებული ვიყავი სამეურვეო საბჭოდან. ასევე გათავისუფლეს ჩემი მძა და მმისწვლილი, როგორც ახლანათესაები.

რომ არა ჩემი საჩივარი, მე ალბათ კვლავ სამეურვეო საბჭოში ვიქნებოდი, მაგრამ ეს ხომ გოგიტიძის მიერ პირადი შურისძიების გამო ხდება. ან არ უნდა სცოდნოდა თავად გოგიტიძეს, ან განათლების რესურსცენტრს თუ ჩვენი სამეურვეო საბჭოში არჩევა არ შეიძლებოდა. თუ დარღვევით ვიყავით არჩეულები, რატომ არ გაბათილდა სპარტაკ გოგიტიძის დირექტორობა არჩევის ოქმი?

ტიძის დირექტორად არჩევის ოქმი? – რამ განაპირობა ბავშვების სკოლასთან ჩამოშორება? ნუთუ მასწავლებლები ცუდად ამცოდნენ თქვენს ბავშვებს?

– მე ამას როგორ ვიტყვი. მასწავლებლებს კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემს ბავშვებთან. მე-7 კლასის დამრიგებელი ნუგზარ ვაშაყმაძე ძალიან შეწუხებულია იმით, რომ ბავშვები სკოლაში არ დადიან. ყველა მასწავლებელს პატივს ვცემ. მხოლოდ ტკივილად ის მაქვს, რომ ჩემს ნაბოლარა ბიჭს, რომელიც პირველ კლასშია მასწავლებელმა ქ. ქიქმე თავეში ჩაარტყა და უთხრა: – „შე უჯიშო, დაჯექი მანდ“–ო.


რაც შეეხება ინგლისურის მასწავლებელს, საყვედური ნიშნითან დაკავშირებით გამოვთქვი.

მე მინდოდა სკოლაში წესრიგი ყოფილიყო და ამიტომ მივმართე გენისპექციას. პასუხად რაც მოვიპოვე, ხედავთ.

**– მაინც რატომ არ დადინარა სკოლაში?** – ეს კითხვა მამის ნებართვით რედაქციაში მყოფ უფროსს ქალიშვილს ნ-ს დავუსვით.

– ჩვენ 23 მარტის შემდეგ არ წავსულვართ სკოლაში. თუმცა, სასწავლო პროგრამას რომ არ ჩაიშორებოთ, ყოველდღიურად ვემცადინებოთ სახელმძღვანელოებით. ვიცი, ბავშვები ვართ, მაგრამ უსამართლობის განცდის გრძობა ჩვენც გვაქვს. მამას უსამართლოდ მოექცენ. ჩემს უმცროს ძმას შურაგვიყავა მიაყენეს. როცა სოციალურ სამსახურში ჩემი აზრი ვთქვი „უზრდელი ხარო“, მითხრეს. ჩვენ, ბავშვებსაც გვაქვს უფლებები. სანამ სიმართლე არ გაირკვევა, სკოლაში არ წავალთ.

ამ ინტერვიუს წინ უძღვოდა ჩვენ მიერ ამ თემის მოკვლევები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაბა ნასაკირალის მასობრივად დაბრუნების შოთა ართიმეაძემ გულახდილად გვითხრა, რომ მან სთხოვა სკოლის დირექტორს, მოეგვარებინა ეს რთული სიტუაცია, მაგრამ ეს არ მოხერხდა. სკოლა სპეციფიკური დაწესებულებაა და მას



ამ დღიურის ფლოგოელი მოსწავლე სკოლაში დასვლაზე შარს აცხადებს

ხელმეტი ჩარევის უფლება არ ჰქონდა.

რედაქციას უარი უთხრეს საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონულ წარმომადგენლობაში გამართულ კონფერენციაზე დასწრებაზე, რაც შემდეგ ამ სამსახურის უფროსის მოადგილე ვანო გოგოლაშვილმა იმით ახსნა, რომ ბავშვების საკითხს განიხილავდნენ, რასაც რედაქცია გაავით მოეკიდა.

ვანო გოგოლაშვილმა გვითხრა, რომ კონფერენციაზე, რომელსაც მათი სამსახურის გარდა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი, ნასაკირალის სკოლის დირექტორი, რამდენიმე პედაგოგი და ბავშვის მამა ესწრებოდნენ, შედეგს ვერ მიღწვიეს.

ჩვენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს, ლელა იმედაშვილსაც შევხვდით:

– ძალიან ცუდია, რომ ბავშვები სკოლაში არ დადიან. კი ამბობენ – ჩვენ თვითონ მივედით ამ დასკვნამდე, მაგრამ როცა ფსიქოლოგთან ერთად ნასაკირალში ავედით და ბავშვებს შევხვდით, მშობლის გარეშე საუბრებში ვხედავდით, რომ ბავშვებს ენატრებათ სკოლა, მეგობრები. თუმცა ისინი ჯერჯერობით სკოლაში არ მიდიან.

**–ქალბატონო ლელა, თუ ახლო ნათესავენი არ უნდა არჩეულიყვნენ სამეურვეო საბჭოში, რატომ აირჩიეს და ძალადაკარგულად რატომ არ გამოცხადდა 2014 წლის დირექტორის არჩევის ოქმი?**

–ვერ დავუთხრებთ. საქმე

იმაშია, რომ გოგიტიძეს ხმების დარჩენილი რაოდენობაც ყოფნდა პოსტის დასაკავებლად. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს მოხსენებით ბარათისა და დასკვნის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 5 მარტის №145 ბრძანებით, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის საჯარო იურიდიულ პირს – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება. ეს გარკვეული სასჯელია. არ დასტურდება დაწყებითი კლასის მასწავლებლის მიერ შავაძის უმცროსი შვილის ცემისა და შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. არც ინგლისურის მასწავლებელი არაობიექტური შეფასებისას. იცით, რესურსცენტრს გარკვეული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია მოქმედება. ახლა ჩვენი საზრუნავი ბავშვების სკოლაში დროული დაბრუნებაა.

სკოლის დირექტორმა სპარტაკ გოგიტიძემ გვითხრა, რომ სკოლა აქტიურადაა ჩართული ბავშვების სკოლაში დაბრუნებისთვის. ამისთვის მუშაობენ პედაგოგები, დაბის ავტორიტეტიანი პირები.

ჟურნალისტებსაც ის სურვილი გვაქვს, ამირან შავაძის შვილები სკოლაში დაბრუნდნენ. ეს უპირობო თემაა.

არის მეორეც – ამირან შავაძე განათლების სამინისტროსაგან სხვა კითხვებზეც ითხოვს პასუხს.

## „საქართველოში საქართველოა გადასარჩენი“



„ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლები ოზურგეთის საზოგადოებას შეხვდნენ

8 თებერვალს, მეფეთა მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს – გელათის აკადემიის ისტორიულ კომპლექსში „ქართული ოცნების დარბაზის“ კონგრესი გაიმართა, რომელმაც „მოქმედების მანიფესტი“

მიიღო. ქართული ოცნების დარბაზის დამფუძნებლები კი რეზო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარ-ხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გვეგვიკორი, რომან რურუა, რამაზ ყურაშვილი არიან.

გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენ-

ტრში გამართულ შეხვედრას „ქართული ერთობის დარბაზის“ წევრები თემურ შამაშვილი, რამაზ ლომინაძე, ოლეგ ნიკოლეიშვილი, ემილ მიქაია და ავთანდილ ჩხაიძე უძღვებოდნენ. მათ ქართული ერთობის დარბაზის გაზეთ „ქართულის“ პრეზენტაცია გამართეს. თავის გამოსვლაში რამაზ ლომინაძემ აღნიშნა, რომ ისინი არანაირ

პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ, მზად არიან, გარდა ერთი პარტიისა, ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ხელისუფლებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის და მიზანია გამოასწორონ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

აქვე გაცხადდა, რომ უკვლავი „ჯარისკაცის მამას“ ავტორმა, სახელგანთქკი რეჟისორმა რევაზ ჩხაიძემ ერთადერთი მატერიალური სიმდიდრე ტელევიზია „ქართული“, ქართველ ხალხს საჩუქრად გადასცა და „ქართული ერთობის დარბაზის“ სხვა დამფუძნებლებთან ერთად დაიწყო რეალურად ქართული ტელევიზიის შექმნა საქართველოში.

– ეს იქნება ძლიერის მხარდამჭერი, მაგრამ იმავდროულად, სუსტისა და გაჭირვებულის დამცველი ტელევიზია. მომავალში იგი გახდება საკუთრება ყოველი პიროვნების, ვინც 1,10 თუ 1000 აქციის ფლობის სანაცვლოდ გაიღებს თანხას ამ ტელეკომპანიის გადღობისათვის. – განაცხადეს მათ.

– მომდევნო 2016 წელი, შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. იუნესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს იუბილე აღინიშნოს არა მარტო საქართვე-

ლოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჯერჯერობით ჩვენს ინიციატივას მხოლოდ რუსთაველის საზოგადოება გამოეხმაურა...

**თემურ შამაშვილი:** –საქართველოში საქართველოა გადასარჩენი. რომ არა დედაეკლესია, ქვეყანა უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა. დღეს ქართული სულის აღმადგენელი საძებნი ვერც ბელადები გადაგვარჩენს და ვერც მილიარდები – საქართველოს გადაარჩენს მოაზროვნე ადამიანები.

ნახეთ, როგორ სამაგალითოდ ექცევიან საკუთარ მოქალაქეებს აშშ და ისრაელის ხელისუფლებანი. ჩვენთან ეს ასე არ არის. ვინც შეიგინა ქუჩაში, ყველა მოვიდა ხელისუფლებაში. უნდა დამთავრდეს ქუჩის პოლიტიკოსების დრო.

პრეზიდენტი სხვის სკამზე ზის. სხვა ბევრი ვინმე ზის სხვის სკამზე... ქართული დარბაზის ოზურგეთის ორგანიზაციას ლევან ნინიძე უხელმძღვანელებს...

„ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით ზურაბ ჩხაიძემ ჩოხატაურისა და ოზურგეთის ღირსეულ წარმომადგენლებს „პატივების სიგელი“ გადასცა.



# ზვიად კვაჭანტირაძე: ჩემთვის მიუღებელია ეს გაჯიუტებული სიტუაცია. ეს ვნებს ქვეყნის იმიჯსაც და ხელისუფლებას ზოგადად



სტრასბურგიდან თვალს ვადევნებ პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებულ ავიოტაჟს და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტელევიზიებს აქაც გავუკეთე კომენტარი, არ ვარ დარწმუნებული, რომ არ მიჭრიათ-მოჭრიათ და არ დააბნევენ ჩვენს მხარდამჭერებს. ამიტომ, ვისაც გაინტერესებთ გეტყვი შემდეგ:

- ჩემთვის მიუღებელია ეს გაჯიუტებული სიტუაცია. ეს ვნებს ქვეყნის იმიჯსაც და ხელისუფლებას ზოგადად.
- 2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე, 2013 წლიდან თვისებრივად შეიზღუდა საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებები:
  - საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა შეიცვალა არსებითად საპარლამენტო მმართველობის მოდელით;
  - პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი;
  - პრეზიდენტი აღარ წარმოადგენს და ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას;
  - პრეზიდენტის უფლებამოსილებები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სიმბოლური ბუნებისაა.

მოქმედი პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი და უფლებამოსილებები არსებითად შეესაბამება საპარლამენტო რესპუბლიკების პრეზიდენტების სტატუსსა და უფლებამოსილებებს.

საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტს ჩამოშორდა კონსტიტუციური უფლებამოსილებების უდიდესი ნაწილი (ხარისხობრივი

თვალსაზრისით, უფლებამოსილებების 90%-ზე მეტი).

მიუხედავად ამისა, მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახური რიცხოვნობა (183-ის ნაცვლად 150 სამსახური ერთეული).

გარდა ამისა, პრეზიდენტი ინარჩუნებს შინაგარეო ურთიერთობების სფეროში პრეზიდენტისთვის იყო განკუთვნილი. ასალი მმართველობის სისტემის პირობებში, პრეზიდენტის ინსტიტუტს არ შეესაბამება არსებული საპრეზიდენტო რეზიდენცია. დაუშვებელია 5-6 მილიონი ზედმეტად იხარჯებოდეს ერთი თანამდებობის პირის ფუნქციებისა და პირადი ამბიციების დაკმაყოფილებისთვის.

ამ ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი კანდიდატი და მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თავდაცვითი საუბრობდა რეზიდენციის შეუსაბამობაზე მის სტატუსსა და უფლებამოსილებებთან: „მე არ ვარ მომხრე, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია იყოს ასეთი დიდი მოცულობის და ვფიქრობ, რომ თანხა, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობაზე დაიხარჯა, ისევე ხალხს უნდა დაუბრუნდეს. პოლიტსაბჭოზე წამოვიყენე წინადადება, რომ იქ განთავსდეს უნივერსიტეტი“. ხალხმა, ამომრჩეველმა ეს დააჯერა. ეს დავიჯერეთ ჩვენც, მის საარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაბმულმა თანაგუნდელებმა... უფრო მეტიც, ავლაბრის რეზიდენციაში არ შესვლა იყო გიორგი მარგველაშვილის ერთ-ერთი წინასაარჩევნოდ დადებული პირობა. არ მინდა მწარე

შეკითხვა დავსვა, მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი.

პირადად მე მაინტერესებს, მაინც რა მოხდა შემდეგ? რატომ შეცვალა ბატონმა გიორგიმ თავისი დამოკიდებულება რეზიდენციის საკითხთან მიმართებაში? ეს ყველაფერი ჩემთვის პირადად გაუგებარია. პრეზიდენტისგან ამ წუთამდე არ მომისმენია საფუძვლიანი განმარტება ამ თემაზე, გარდა იმისა, რომ თურმე ეს ყოფილა მისი და "ბიძინას" პიროვნული დაპირისპირების თემა. რა ვქნათ, არ გვაკმაყოფილებს ეს ახსნა. მოდით, ჯერ ამ შეკითხვაზე მივიღოთ ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი და მერე ვნახოთ, რა მარტივად გავცემთ პასუხს შეკითხვას - მოქმედი პრეზიდენტის სტატუსსა და უფლებამოსილებებს მოცულობით სრულად შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ თანამედროვე და მაღალი სტანდარტების შესაბამისად გარემონტებული რეზიდენცია თუ არა?

რატომ ვკვირვებლობთ ასე ინფანტილურად?

რატომ ვცდილობთ გავაღრმავოთ უთანხმოება კონკრეტულ საკითხზე და გადავიტანოთ იგი სხვა სივრცეებში?

ევროპის რამდენი ქვეყნის პრეზიდენტს აქვს ავლაბრის და ათონელის რეზიდენციაზე კი გაცილებით მოკრძალებული რეზიდენცია? ზოგიერთი მათგანი ერთადერთი გვინახავს, თუმცა ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ბატონი პრეზიდენტი აღარ მოისურვებს ჩემს თანამგზავრობას, მაგრამ ამაზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებ **smile emoticon**, თუმცა მიუხედავად ამ უთანხმოებებისა და გულგატეხილობისა, მე მაინც ვადასტურებ პატივისცემას პირადად მის მიმართ და პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ იმ ჩარჩოებში, რაც საბოლოოდ მივიღეთ კონსტიტუციურად.

ვიცა, ჩვენი ხელისუფლების სხვადასხვა იმედდაკარგულ ოპონენტთა მთელი ბატალიონი (არმაიმდე ვერ გაქაჩავენ) შეიქმნა იმ მიზნით, რომ ხელოვნურად დაენერგონ "დაჩაგრული" პრეზიდენტის იმიჯი, ვინაიდან საქართველოში დაჩაგრულს ყოველთვის ექონებოდა. სწორია კი ეს - ასე ხელოვნურად საკუთარი იმიჯის ამაღლებაზე ზრუნვა? ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

# ზნემაღალი აღზრდილების მერმისის გამაფრთხილებელი პიროვნება

ტარიელ კალანდაძე - 60



საოცრად სწრაფად გადის წლები, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ უკვე გაგივლია ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა. წელთა სიმრავლე მაინც არ არის მთავარი. მთავარი ისაა, როგორ იცხოვრებ, როგორ გაივლი წუთისოფლის შარავხას. ბატონმა ტარიელმა ღირსეულად განვლო ცხოვრების 6 ათეული წელი და დღესაც ახალგაზრდული შემართებით იღვწის მომავალი თაობის აღზრდისათვის.

ით თავს თქვენი ესოდენ აუწყავი, ლამაზი ღვაწლის წინაშე. გიხდით მადლობას განვლილი თავდადებული გარჯისათვის.

საუკეთესო სურვილებით გილოცავთ განსაკუთრებულ იუბილეს - ექვსი ათეული წლის ღირსეულად გასრულებას.

ტარიელ კალანდაძე - ოზურგეთელ პედაგოგთა, მოწაფეთა და მშობელთა გულთან მისარქმელია. ეს სიყვარული მოგაგებს „დიდთა საქმეთა“ კეთებისათვის.

ბედნიერ დღეთა მოლოდინი და ნათელი ზვალინდელი დღის იმედი არასოდეს დაგმცხრომოდეთ.

გვარავდეთ ღმერთო!

ულრმესი პატივისცემით, **როზა გოგუაძე**,

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

## გურული მახვილსიტყვაობა

### კოლიტსკოლა რაა აფშერი, დასასრული რომ არ აქვს?!

კომუნიტების დროს, თბილისში, იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ერთ-ერთ ტრადიციულ შეკრებაზე, მაშინდელი მასწავლებლის რაინდი, სოფელ გაღმა დვბაზე კოლმეურნობის თავმჯდომარე, ადგილობრივი პოლიტსკოლის ხელმძღვანელი, უნაკლოდ მჭერმეტყველი და მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ბატონი თამაზ გობრონიძე იქნა მიწვეული, სადაც იგი სიტყვით უნდა გამოსულიყო.

შეკრებაზე, რომელსაც ცკ-ს პირველი მდივანი ე. შევარდნაძე მართავდა, მაშინდელი წესისამებრ გამოცხადდა 15-წუთიანი რეგლამენტი. მაგრამ, სიტყვით გამოსვლულმა, მინიმუმ ნახევარ საათს მაინც ილაპარაკეს და მათთვის შენიშვნა არავის მიუცია, განსაკუთრებით დიდი დრო მოანდომა თავის გამოსვლას მაშინდელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვლადიმერ მერკვილაძემ, რომლის შემდეგ სიტყვით გამოსვლამ ბატონმა თამაზმა თავისი მოხსენება ასე დაიწყო:

- ამხანაგო! აქ ჩემსევე ისეთი ცნობილი პიროვნებები გამოძრანდნენ, რომ ძალიან ძნელი იქნება რამითი თავი მოგაწონოთ. მაგრამ, ერთს დავპირდებით: რეგლამენტს დავიცავ. უფრო მეტიც - ჩემს გამოსვლას მხოლოდ 5 წუთს მოვანდობ. დანარჩენი დრო კი, ბატონი მერკვილაძის მიერ დასარჯული დროის ანგარიშში ჩათვალთ.

დარბაზსა და პრეზიდიუმში ხმაღალი სიცილით შეხვდნენ მახვილონიკური იუმორით შესაგებულ კრიტიკას. თამაზმა კი ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა:

- სოფელში, ერთხელ პოლიტმეცადინეობა რომ ჩავატარე და კოლმეურნობის ეზოში გამოვედი, ერთ-ერთმა ჩემმა მშენებელმა გვლენმა მკითხა:

- ამხანაგო თამაზ! ყველანაირ სასწავლებელში - სკოლა იქნება იგი, ტექნიკუმი, უმაღლესი სასწავლებელი თუ აკადემია, - სწავლას აქვს დასაწყისი და დასასრული. ეს ჩვენი პოლიტსკოლა რაა ამფერი, რომ ათეულობით წელია ვსწავლობთ და ჯერაც არ დავკვირვებთა?!

დარბაზსა და პრეზიდიუმში კვლავ საყოველთაო სიცილი ატყდა. შევარდნაძემ იმდენი იცინა, რომ თვალთაგან ცრემლებიც კი წამოუვიდა. და ბოლოს, როცა იგი შემავაძებელი სიტყვით გამოვიდა, საზგასმით აღნიშნა, რომ ძალიან მოეწონა და მეტად კმაყოფილია სოფელ ქველა დვბაზე (როგორც, ჩანს ერთმანეთში აწერა გაღმა დვბაზე და ქველა ბაზვი) კოლმეურნობის თავმჯდომარის საკმაოდ გაბეული კრიტიკული მახვილსიტყვაობა.

**როლანდ თაგაძე**



გაცნობებთ, რომ 2015 წლის 29 აპრილს 11სთ-ზე, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გაიმართება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ღია კარის სხდომა“, რომელიც არის ამომრჩეველთა მოსმენის ყველაზე ოპერატიული, გამჭვირვალე და დემოკრატიულ სამყაროში წარმატებით აპრობირებული მეთოდი.

დაესწრებიან საკრებულოს თანამდებობის პირები, ასევე გამგებელი და გამგეობის თანამდებობის პირები.

გთხოვთ, გამოხატოთ ინტერესი და დაესწროთ „ღია კარის სხდომა“-ს.

ხოლო „ღია კარის სხდომაში“ მონაწილეობის მისაღებად, როგორც თვითმმართველ ერთეულში დაფიქსირებულმა ამომრჩეველმა,



განცხადებით უნდა მიმართოთ საკრებულოს აპარატს ორშაბათს (27 აპრილი) და გაიაროთ რეგისტრაცია.

**მის: ქოზურგეთი. კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.**  
**ტელ: 599 983 900 ნანა თავდუმაძე (საკრებულოს აპარატის უფროსი).**

# მონოლოგი საკუთარ თავთან

ეკ, ჩემო სამშობლო! ჩემო სათაყვანებლო ქართულო მიწავ – 70 წელია ერთად ვცხოვრობთ და ვებრძვით ათას ურჯულოებას, ურწმუნობას, მიწის გამყიდველებს, ვისმინთ საზღვარგარეთ გადახვეწილთა გოდებას სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ დღემდე ხელშესახები შედეგი არ გვაქვს. არადა, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც უფლისწილს ხელს უწყობს.

უფალო დიდებულო, შენს წილს ვეღარ ქვეყანაში მცხოვრებმა ძირძველმა ქართველებმა, რომლებიც XXV საუკუნეზე მეტია თავისუფლებისა და ყოველი მტკაველი მიწის მენარჩუნებისათვის ვიბრძვით, XXI საუკუნეში დაკარგეთ მშობლიური ქვეყნის ტერიტორიის 20%.

ვუსვამ კითხვას საკუთარ თავს: რატომ ვხვდებით ხანდახან გაუხუმებულები, გულგაციებულები, ერთმანეთის გაუტანლობისადმი სინდრომით შეპყრობილები?

უფალო, შენ ხომ გვანუქე ყველა საარსებო საშუალება: მიწა, წყალი, ხე-ტყე (მთლიანი ფართობის 38,5%, ირანში ეს მაჩვენებელი 6%-ია. ამიტომ ირანელი ყველდღიურად კონცის ხე-მცენარეებს), მანქანები, მინერალური წყლები, კასტრული სამკურნალო გამოქვაბულები, შესანიშნავი საკურორტო ადგილები, ზღვა, მთები, ოქრო, ნავთობი, სახნავ-სათესი ადგილები, სუფთა ჰაერი, ძირძველი დამწერლობა, ენა, სარწმუნოება, ვაჟკაცობა, სიმამაცე, გზავ-ვარდინები მსოფლიოსთან დასაკავშირებლად...

მაშ, რა გვჭირს, რატომ ვერ შევიღობოთ ყოველივე ამას? იქნებ კიდევ გვჭირდება დახმარება, ჭკუის სწავლება უბრალო მოკვდავთ და ნუ შეიზარებთ ამას, თხოვნაა დიდი.

დიდ მადლობას გიხდით იმ სიმდიდრისათვის, რაც გვაჩუქეთ და აქვე ჩემს თანამემამულეებს კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ საქართველოს გააჩნია უდიდესი სასიცოცხლო მარაგი:

ქვანახშირი – 45 მილიონი ტონა, ვიყენებთ 10-12%-ს. ქვანახშირის გარდა, ჩვენთან მოიპოვება ნავთობი, მურა ნახშირი, ტორფი, შავი და ფერადი ლითონები – რკინა, მანგანუმი, სპილენძი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ვერცხლისწყალი.

გვაქვს საბუნებრივი ქიმიური ნედლეული, ანდეზიტი, ბარიტი, ბენტონიტი, თიხები, ბაზალტი, გრანიტი, მარმარილო, კირქვა, ეკლარის ქვა.

გავაჩნია ნავთობის 10 საბადო: სამგორ-პატარძელის, მირზანის, პატარა შარაქის, ნორიოს, საცხენისის, სუფის, აღმოსავლეთ ჭალაღიდის, ტარიბანის, შრომისუბან-წყალწმინდისა და თელეთის.

ჩვენი ბუნება გამოირჩევა მინერალური წყლების მრავალფეროვნებით. გვაქვს 1300-ზე მეტი მინერალური წყარო, რომლის სადღე-ღამისო დებუტი 1300 მილიონი ლიტრია.

ჩვენს ქვეყანაში 102 კურორტი და 340 საკურორტო ადგილია. კერძოდ, წყალტუბოს მინერალურ წყალს ანალოგი არ მოეძებნება მთელ მსოფლიოში; ბორჯომის წყლის ანალოგი მხოლოდ საფრანგეთშია; არხილოსკალი, თირკმლების დაავადებათა სამკურნალო თვისებებით, არ ჩამოუვარდება საქვეყნოდ ცნობილ ბაირამ ალის; აბასთუმანს ადარებენ შვეიცარიის დავოსს;

საქართველოს მარგალიტია საირმე; ულამაზესია ბაკურიანი, შოვი, უწერა, მენჯი, ბახმარო, გომისძთა, ლეხარდე, ავად-ჰარა, ზეკარი, აბაღა, კვერეთი, ლაში-ჭალა,

ხრესილი, ცხრაჯვარი, მუხური, წაღვერი, ცემი, კიკეთი, მანგლისი, ნაბელაი, ზვარე, ნუნისი, სურამი, ცაიში, სამკურნალო ტალახით ახტალა და ა. შ. 100-მდე კასტრული მღვიმეა, რომლის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

გვაქვს კულტურის ძეგლთა სიუხვე და ეთნოგრაფიული თავისებურებები.

საქართველო არაერთგზის გადარჩა განადგურებას ჭკვიანი მეფეებისა და ალესილი ხმლების წყალობით. ქართველთა სულიერ მთლიანობაში ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა სარწმუნოება – ეკლესია.

ქართველები მაინც ახერხებდნენ ხანმოკლე მშვიდობიან პერიოდებში ვაჭრობის განვითარებას და ქართულ ძეგლთა მშენებლობას.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე იჭრებოდა მონეტა „კოლხური სტატერი“.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ქართლის სამეფომ დიდ აღმავლობას მიაღწია, დაიწყო რკინის გუთნისა და სარწმუნოების ტექნიკის გამოყენება, ფართოდ გავრცელდა ვახის კულტურა, განვითარდა ვაჭრობა.

დიდი ჩავარდნის შემდეგ, საქართველოში გამოცოცხლება დაიწყო XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს. გამოშველ იქნა ვერცხლის მონეტა „გიორგაული“.

ქართველებს გვქონდა ოქროს ხანაც, ჩავარდნებიც, გულგატეხილობაც, მაგრამ რწმენა ყოველთვის იმარჯვებდა.

1993-1994 წლებში საქართველოს ბიუჯეტი საერთოდ არ ჰქონდა.

1993 წელს შემოვიდა კუპონი. 1994 წელს ერთი აშშ დოლარი უდრიდა 2,5 მილიონ კუპონს. ინფლაციის დონემ 7380%-ს მიაღწია. საშუალო ხელფასი იყო 1,5 აშშ დოლარი, პენსია – 10 ცენტრი.

1995 წელს შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა ლარი. გადასაცემელი კურსი 1 აშშ დოლართან მიმართებაში იყო 1,3 ლარი.

აქედან მოყოლებული, იცვლებოდა მთავრობები, მოდლიდა დაპირებათა ნაკადები, მაგრამ 1 აშშ დოლარის მიმართ ლარის გადასაცემელი კურსი თითქმის გაორმაგდა.

მე ხომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ, რომლის ხალხური მუსიკალური კულტურა 2001 წელს იუნესკომ აღიარა „მსოფლიოს არამატერიალური, სულიერი საგანძურის შედეგად“. ქართული ხალხური მრავალხმიანობის ნიმუში „სიმღერა „ჩაკრულო“ მილიარდობით კილომეტრს გადის კოსმოსში.

ვევითხები საკუთარ თავს, რას ვფერხობ, რატომაა ქართველებში ამდენი შუღლი და მტრობა. თუ შობადობა არ გაიზრდება, 2050 წლისათვის ქართველობა საქართველოში უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

იმედი მაქვს და რწმენით ვიბრძობ ბოლომდე, სანამ სასურველი შედეგი არ დაიდება.

გვყავს უაღრესად ნიჭიერი კადრები, სრულფასოვანი მენეჯერები და იწყება ადამიანთა სრულყოფილებისათვის გადამწყვეტი ბრძოლა. ამის მკაფიო მაგალითია საქართველოს ყველა რაიონში ათასობით ტონა ყურძნის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხაღის, ციტრუსის, თხილის, კვიის მიღება და მთლიანად მისი რეალიზაცია.

მილიონობით ლარი მიდის მწარმოებელთა ჯიბეებში. შედეგები უკეთესი გვექნება ძირითად საწარმოო ძალთა სწორი გამოყენებით, კაპიტალაბანდებთან ვეფქტიანობის ამაღლებით.

იქნებ, უფალო, კიდევ ერთხელ გამოგვხვდეთ და გვასწავლოთ, როგორ ვიცხოვროთ ან გავვიმხილოთ, რა ვაკეთოთ უკეთესი მერმისისათვის?

რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „ალიონის“ მეშვეობით მივმართე იმ საზოგადოებას, რომელიც მაღალანაზღაურებადი ტარიფებით სარგებლობენ – 1% ან შესაძლებლობის ფარგლებში გარკვეული თანხები ჩაერიცხათ პენსიონერებისათვის. ამჟამად ვამხადებ მეორანდებებს, შედეგი რა გვექნება, ღიად მოვახსენებ საზოგადოებას.

ვევითხები, ამ ინიციატივით სამი სასიკეთო საქმე გაკეთდებოდა:

1. მოიგებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილი პენსიონერები და ირწმუნებდნენ, რომ ისინი მარტო არ ებრძვიან სიდუხჭირეს;

2. მოიგებდა მაღალანაზღაურებად განაკვეთებზე მომუშავეები. უფალი, უბრალო მოკვდავებთან ერთად, დაინახავდა დედაძინაზე მათ დიდ მისიას, რომელსაც განახორციელებდნენ უპოვართა გვერდში დგომით;

3. მოიწონებდა მთავრობა, რომელსაც ამჟამად არა აქვს პენსიების გაზრდის მეტი შესაძლებლობა შინაურ და გარე ძალებთან ბრძოლის პერიოდში.

მინდოდა, გურია ყოფილიყო ამ ინიციატივის მებაირაღე ქვეყანაში.

### გურია ცმრცვაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, გურია რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე.

## წერილი რედაქციას

### შედეგიანი იქნება

თქვენი გაზეთის ა. წ. 9 მარტის ნომერში გამოქვეყნებული იყო გურის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარის, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორის, ბატონ გურამ ცმრცვაძის წერილი „პენსიონერთა გადარჩენის ერთადერთი გზა“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ ბიზნეს-მენები და მაღალანაზღაურებად ადგილებზე მომუშავე პირები ყოველთვიურად ხელფასიდან გადარიცხავენ განაკვეთის 1%-ს, რაც, ჩემი აზრით, ძალზე შედეგიანი იქნება.

დღეს, როცა პენსია ძალიან მწირია – 150 ლარი, სექტემბრიდან კი 160 ლარი იქნება, აუცილებელია შემუშავებულ იქნეს ერთიანი გეგმა, რევიზიების

მიხედვით შეიქმნას პენსიონერთა დახმარების ფონდები, რომლებშიც იქნას გადარიცხული ბიზნესმენებისა და მაღალანაზღაურებად საქმიანობებზე მყოფი პირების მიერ შემოღობილი განაკვეთის 1%. გურიაში, სადაც 2600-0-ზე მეტი პენსიონერია, ამ გზით სოლიდური თანხა შეგროვდება, შესაბამისად გაიზრდება თანხა მთლიანად რესპუბლიკაში, რითაც ერთგვარად მაინც გაუმჯობესდება პენსიონერთა საყოფაცხოვრებო პირობები.

### ამირან მაშუღაიშვილი,

ბაილეთის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, სწავლული აგრონომი, ჟურნალისტი.

## ღმერთმა აპრაგლოს კეთილი აღამიანები

ქ. ოზურგეთის მერიის გრ. კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლის დირექტორი, ადმინისტრაცია და პედაგოგები დიდი პატივისცემით და სიყვარულით მადლობას უხდებიან ქალბატონ ლელა თოიძეს ქველმოქმედებისთვის, რომელიც შეეხო სკოლის ერთ-ერთ შეჭირვებულ, ნიჭიერ, V კლასის მოსწავლეს ნანა თოიძეს, კერძოდ, დაფინანსდა 1 წლის სწავლის საფასურით.

მოგესხნებათ, ქველმოქმედება აღამაზებს და აღიღებს ადამიანს. მამაზეციერს შევთხოვთ, რომ ღმერთმა აპრაგლოს ისეთი ლამაზი და კეთილშობილი აღამიანები, როგორიც ქალბატონი ლელა თოიძე გახლავთ.



## ნიკუშა მახარაძე

დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო! შვიდი წელი გავიდა, რაც შენ აღარ ხარ ჩვენთან. ენით გამოუთქმელი მწუხარებათქცეულ 2 მაისს, შენი ამ ქვეყნად გაჩენის დღეს, ბედნიერ დღეს, დღეს კი მწუხარებად ქცეულს...

მახსოვს ისეთი ძლიერი ვიყავი, რაც უნდა სატკივარი მქონოდა, ცრემლს არ გადმოვავლებდი, არავის დავანახებდი... ახლა კი, ყოველი წუთი, შენი მოგონებით სავსე, ცრემლად მღვრის, მტანჯავს და მან-

აღგურებს. ჩვენი დედაშვილობაც უსიტყვო სიყვარულით იყო გამოთბარი. უზომოდ ვიყვარდა მამა, შენი ცოლ-შვილი, ახლა კი შენს საფლავთან ძალღივით აყმუვლებულს ცხოვრება მოგვებზრებია... ნეტავ თუ გეხმის, ჩვენო ნიკუშა!... დრომ კიდევ უფრო დაგვიძიმდა შენი უდროოდ წასვლით გამოწვეული ტკივილი. ჩვენი სიბერის ნუგეშმა ასე უნუგემოდ როგორ დაგვტოვე?! რა დიდი მწუხარება არგუნე შენს დას

მაცაცოს, შენს საყვარელ მარიკას. შენი შვილებია ჩვენი ნუგეში, შენი საბა და ბათურა... საბა ისე გვავს, თითქოს მიბრუნდება შენი ბავშვობა. ო, როგორ გვჭირდება ყველას, როგორ გვენატრები.

დღესაც მოვალთ შენს მარადიულ სასუფეველთან.

დღეს ხომ შენი ამ ქვეყნად მოვლენის დღეა. დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო!...

შენი **ოჯახი**







ოზურგეთის ჯარისკაცები

გენერალი გურიელი



ქართული გენერალიტეტის 300-წლოვანი ისტორიაში ბრწყინავდნენ გენერალი გურიელების სახელები.

გენერალ-მაიორი ივანე გურიელი მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ. იგი გურიის მთავრის ქაიხოსრო მე-3-ის შვილიშვილი იყო. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1789-1791 წლების ომში. ამ ბრძოლებში მამაცობისათვის პორუჩიკის წოდება მიიღო. 1792-1794 წლებში, სუვოროვის ხელმძღვანელობით, იბრძოდა ვეროპოლში. გამორჩეული მამაცობისათვის პრემიერ-მაიორობა მიიღო, 1799 წელს - პოლკოვნიკობა. 1803 წელს 31 წლის ასაკში გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა და ვოლინის პოლკის უფროსად დაინიშნა. ნაპოლეონის რუსეთზე თავდასხმის შემდეგ მონაწილეობდა ყველა მთავარ ბრძოლაში. პეტრე ბაგრატიონის წარდგინებით, წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენით დაავიჯდნენ. დაავიჯდნენ იყო წმინდა ანას I ხარისხის ორდენით. ვიანაში ბრძოლაში მამაცობისათვის ალექსანდრე I-მა ალმასებით შემკული ოქროს დაწნა უბოძა წარწერით: „მამაცობისათვის“. 1813 წელს, 8 მაისს ბუნკვითან ბრძოლაში გმირობისათვის წმინდა ანას პირველი ხარისხის ალმასის ნიშნებიანი ორდენი გადაეცა.

ივანე გურიელი განათლებული პიროვნება (ფლობდა რამდენიმე უცხო ენას) და გასაოცარი

სიმამაცის ადამიანი იყო. მრავალ ბრძოლაში მონაწილე ერთხელაც არ დაჭრილა, რასაც წმინდა სტეფანეს იმ პატარა ხატს მიაწერდა, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. ვარაუდობენ, ეს ხატი მშობლიური საქართველოდან გურიელთა ერთ-ერთი რეზიდენციიდან უჩნობიდან წაღებული ხატი იყო, სადაც არსებობდა წმინდა სტეფანეს ეკლესია.

ივანე გურიელი გახლდათ სუვოროვის, კუტუზოვის და ბაგრატიონის სახელოვანი თანამებრძოლი. გარდაიცვალა მოულოდნელად 46 წლის ასაკში, 1818 წელს. იგი იყო ერთ-ერთი იმ 90 მაღალი სამხედრო პირთაგან, რომლებიც 1812 წლის სამამულო ომში წარმატებული მონაწილეობით შესული არიან ისტორიაში.

**გურიელი ლევან დავითის ძე - რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი.** მონაწილეობდა ყირიმის ომში 1853-1855 წლებში. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე სოფელ ნიგოითთან და მდინარე ჩოლოქთან. სარდლობდა გურიის ჯარში შემავალ გურიის და იმერეთის რაზმებს. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში. გარდაიცვალა 1888 წლის 12 მაისს, თბილისში.

**გურიელი ვასილ ლევანის ძე, გენერალ-მაიორი.** დაიბადა 1861 წელს, ოზურგეთში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იყო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის ადოლფანტი. 1893 წლიდან კავკასიის მეფის განსაკუთრებული დავალებათა შემსრულებელი. გარდაიცვალა 1914 წელს.

**სტეფანე ქაიხოსროს ძე გურიელი.** დაიბადა 1730 წელს, ოზურგეთში. მრავალი ომის მონაწილეა. იბრძოდა თურქეთის ომში, ჩრდილო კავკასიაში მეთაურობდა მილიციისა და ირგუ-ღარულ რაზმებს. 1774 წლიდან ნიჟე-გოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერია. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1800 წელს. გარდაიცვალა 1812 წელს, მოგილევში (ბელორუსია).

**გურიელი დიმიტრი ქაიხოსროს ძე, გენერალ-მაიორი** დაიბადა ოზურგეთში, 1822 წელს. იყო გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის გამზრდელი ბიძის ქაიხოსრო გურიელის შვილი. მონაწილეობდა ყირიმის ომში

და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომებში. იყო ლიბე-გვარდიის ულანთა პოლკის მეთაური 1871 წლიდან, იმპერატორის ამალიის განსაკუთრებული დავალების შემსრულებელი 1876 წლიდან.

1873 წელს ოზურგეთში ააშენა სასახლე თურქულ-აზიურ სტილში, სადაც იღებდა უცხოელ სტუმრებს. 1862 წელს 28 ოქტომბრიდან 1-ელ ნოემბრამდე პრუსიის სამეფოს პრინცი ალბერტ პოპენციოლერნი მოგზაურობის კავკასიაში. 1865 წელს მან ბერლინში გამოსცა წიგნი, სადაც მოთხრობდა სტუმრობა გურიელთან. „გორას რეზიდენციიდან გამოსულნი ორი საათის შემდეგ გზაში, ტყიან ადგილას (ნასაკირალი) დიმიტრი ქაიხოსროს ძე გურიელს შეეგება თავისი ამალით მდიდრულ და ღია ფერების ტანსაცმელში გამოწყობილი ასამდე მილიციონერი... დიმიტრი გურიელის სახლი ირგვლივ ყვავილებით იყო შემორტყმული და ქუჩიდან ღობით გამოყოფილი. სახლიან სტუმრებს შეეგება გურულად ჩაცმული და შეიარაღებული ორი მოხუცებული ასალგაზრდა... დიმიტრი გურიელის სახლი მორთული იყო ძვირფასი ავეჯით, მოვარაგებული ჩარჩოანი სარკეებით, სპარსული ხალიჩებით, თვალმომკვრელი აბრეშუბით. სახლში ნამდვილი აღმოსავლური ბრწყინვალეობა სუფევდა. საწოლ ოთახში მაგინაზე იდო ნაპოლეონ მესამისა და ინგლისის დედოფალ ვიქტორიას საღილაკ-გაზამაშე მოსაწვევი ბარათები“ (ქ. ჩხატარაშვილი „გურია უცხოელის თვალთა“).

გარდაიცვალა 1882 წელს, ოზურგეთში. **გურიელი მამია სიმონის ძე, გენერალ-მაიორი.** გურიის უკანასკნელი მთავარი 1809-1826 წლებში. დაიბადა 1789 წელს. ნომინალურად 1792 წლიდან, ფაქტობრივად 1809-1826 წლებში იყო გურიის მთავარი. 1811 წელს სცნო რუსეთის ხელისუფლება და მიიღო გენერლის ჩინი. თავი გამოიჩინა მალთაყვასთან ბრძოლაში 1809 წლის 2 ნოემბერს და მას „მალთაყვის ნიშნის“ უსწოდებენ. გარდაიცვალა 1826 წლის 21 ნოემბერს, დაკრძალულია შემოქმედის მონასტერში.

**გურიელი, გენერალ-მაიორი.** გურულ გენერალთა ერთ-ერთი თვალსაჩინო

გურული ფირალების ცხოვრებიდან

მკლავრობა ავანგარდისა და კომიტეტისა

ენკვირ მოგუბაჟი

ჩვენს წინაშე კომიტეტის დასტურით სანქციონირებული უდიდესი დანაშაულებანი გურიის თავდაზნაურთა მასობრივი ლიკვიდაციის მცდელობიდან დაწყებული ვიდრე თავად ილია გურიელის ძე ჭავჭავაძის მკვლელობით დამთავრებული, რითაც ცხად ხდება, რომ ოზურგეთიდან წინააღმდეგ ტერორის და სიკვდილის გზაა. „სამყაროს შემარყველ“ ჩინების ხანის მიერ ფუქედებული „კანონთა კრებულის“ - მონღოლური „ასისა“ და ნომადურ ტომთა უჩინაჟი ყრილობის - „ყურულთის“ შესატყვისი იყო კომიტეტის გადაწყვეტილებანი და უფლება მოსიღებანი. მონღოლურ „ასისაში“ ვკითხულობთ: „განა სიკვდილი ყველაზე საძილო იარაღად არ არის შერს ხელში? განა შერსა წინააღმდეგ არ ამოაგო იგი ქარქაშიდან რომ სამყარო დაეპყრო? შერსთისა ნანდერტყვი საუკუნოებით ნაცადი ეს იარაღი. ხოლო სიბრალული? რომელმა ჩინებოდათ გაიგო იგი გულში?... მდაბიო ხალხი, თუ მას დაინდობ, ზიზდით შეგატყვევს ზურგს. იგი სწორედ იმისათვის არსებობს რომ შერსთის მოკვდეს. სიკვდილი, უპირველეს ყოვლისა, - ია „პაღია“. ამ იარაღის ძლისხმევით ათი მეომარი ემორჩილება ერთ ათისთავს - ომასისს, ხოლო ათი ომასი ერთ ათისთავს - ჟუნასისს. ათ ჟუნასისს განაგებს ერთი ომასი, ხოლო ათ ათისთავს. ომასისს სათავეში უდგას ერთი თემიკი. მთელ ჯარს ხელმძღვანელობს ორი ან სამი ნოინი. ყველა ნოინი ემორჩილება მთავარსარდალს. როცა ჯარი ომში იმყოფება და ათი კაციდან გარბის ერთი ან ორი, ან სამი, ან უფრო მეტი, მაშინ ყველა ისინი მოკვდილობან. ხოლო თუ გარბის ყველა ათი, მაგრამ არ გარბის დანარჩენი ასი, მაშინაც ყველანი მოკვდილობან“. კომიტეტის გადაწყვეტილებანი, ზეპირი განცხადებანი, პროკლამაციები, თუ პროსკრიპციები არამცთო ტოლფასი იყო არამედ უპირველეს შემთხვევაში აღემატებოდა კიდევ ჩინებოების ასისას და ყურულთის გადაწყვეტილებებს. კომიტეტის ტერორისტთა მაუხურის მარ-

ჯვე ხმარების წყალობით რკინაში ნაკვდი და ნაწრობა დაღიძობინა, უდაბლეი რანგი მორჩილებს უმძლეესს, ათისთავი - ასისთავს. ასისთავი - ათისთავს. ყველანი ერთად - ბნელოის ნაბიჭვართა საიღუმლო ორგანიზაციას, ჯოჯოხეთის შესატყვის კომიტეტს. კომიტეტებიც თავის მხრივ რანგთა ტაბულეზად იყოფიან. სამაზრო კომიტეტი უსიტყვიდ მორჩილებს საგუბერნიოს, საგუბერნიო კომიტეტი შესაბამისად ბათუმის, თბილისისა და კავკასიის კომიტეტებს. ეს უკანასკნელი - უმაზრეს არტერიას შეუქვდა და შეგავსებულ მუშტს ერთიან მონილითს - ცენტრალურ კომიტეტს. კომიტეტის ნუქერების, ქმეცების თუ მანქურთების შიშით გათავებული ყველა: უბრალო ყანის მუშა, მამასხლისი, აზნაური, თავად-თუნდაც გურიელური წარმომადგობისა, ბაქის გუბერნატორი თუ კავკასიის ნაქსტნიკი, პლასტმენტის ატამანი თუ ძალზე ხშირად „ნეიტრალურ“ პოზიციაზე მდგარი უბნის ბოქაული, უფლის მსახურნი, თუ წრეგადასული წითელრანხელი თუ ყოველგვარი სიყვის მქნელი ინგუმი სტრაჟიკა“. კომიტეტის ნებისა და სურვილის გარეშე იკრძალებოდა: „ქლეხი და დაკრძალვა“, ქორწილი, და საკუთარ ოჯახში სტუმრების წვევა“, „მემამულეთა მიწების საყანედ დაბეჭევა“, „გავიცვებისადმი თავის არიდება და პირის შეშლა“ ხან სასტიკად ისჯებოდა პარტიული საწვეროს ურჩი გადაშხედი. „მკვლელებთან“, მემამულეებთან“, „ჯავშუშუბთან“ და შექმნილებთან კავშირში მყოფათთვის, თანამხედ ჩინებოების ასას შესატყვისი კომიტეტის მინაგანაწესისა, შხად იყო ყველგან და ყოველთვის მრავალნაკადი „პოიკოტი“ და უწყლოდ სიკვდილი. რევოლუციურ გურიაში ტერორის სამიზნელმა ძალამ მალე ამოიხუნთა ცეცხლის მფრქვეველ უკლანებად. მან დაიოხა ალიაქიოთი და წამომალა შიშის საზიზღარი აჩრდილები. გაიბა ზრიალი ფოლადისა, ძახილი ბუკისა, გრიალი მოწოდებისა. ემუშაობთ ჩუმად, ვიოვლით ნაგანებს დავეხებთ ყველგან ჩვენს აშხანაგებს, მუდგარ

ბრძოლისთვის ყველა აღვძარიო, გაიპრიალეს ცივი ხანჯალი. თავისუფლება ყველას გვეწყურია, მუდგარ ბრძოლისთვის ვეინბობს გურია. პროკლამაციების ცეცხლი აღვზნო ტერორისტების ძლისხმევით ძალაგამოცლილმა კომიტეტმა. აამოქმედდა ინკვიზიცია. სისხლიანი ორგები განუწყეს მისი ნების არ დამყოლით, „ოცდაათისას“ და „ოცდაჩვიდმეტისას“ საზინულებანი მელვარე „ცხარათასს ხუთში“ იშვა. გურიის კომიტეტის ერთ-ერთი წერილობითი მიმართვა, სანქციონირებული კომიტეტის „კრილობის“ მიერ, დაბეჭდვითი მუქარით თუწეზოდა: „როდესაც რუსეთის მუშათა კლასი განადგურებს თვითმყობილურ მთავრობას, როცა დავამყარებთ თავისუფალ სახელმწიფო-რესპუბლიკას, მაშინ შური ვიძიოთ დღევანდელ ჩვენს მტარვალზედ... და ვაი მაშინ თქვენ, როცა რევოლუციის ძლიერი ტალღები დაამხოვს თქვენს მომყდველ საძაველ მთავრობას და გააბატონებს ხალხს. ენახით ვინ იქნება მაშინ თქვენი დამცველი, ენახით რა დღე გვეწყია“. არათუ „კლასობრივ მტრებსა“ და მოქმედებს, მშობელ დედასა და მამასაც აღარ ინდობდნენ მარქსიზმის ბანტით ლეოტარიაში გახვეული მაუხურისტები. საბრძოლო მოწოდება და ყიყინა შესაბამისი-ზარინი და ყოვლის წამლეკვი გააჩნდათ: „მე დედას მოკვალე. დავაზრობ მაშა, რევოლუცია თუ მომიხოვს ამას“, „ფირალთა ბუნების“ შესანიშნავად მცნობი, იასე რაჭველი (იგივე მუხუშლა) წერდა: „რაც ჩვენში მოძრაობა დაიწყო, იმ დღიდანვე თვალს ვადგენებდი ჩვენი პატარა ქვეყნის გურიის ამბებს. უკვირდებოდი მის მფლობერობას და ყველა ამ ნათელ გრძობებს ჩემს პატარა უბის წიგნაში ვინმეაღი, ვერ წარმოიდგენს ვერც ერთი ისტორიკოსი, მეცნიერი ვერც ერთ ქვეყანაში ასეთ სწრაფ ცვლილებებს, ისეთ ჩქარ აზრთა ცვლას, როგორც ეს ჩვენში სჯეროდა რასაც ერთი ვინმე ნასწავლი სტუდენტი კურსოვნიკი თუ მწერალი იტყვოდა, ხვალ მთელმა სოფელმა იცოდა, ზგე მდამ საზოგადოებამ და მასზეგ

წარმომადგენელია გრივოლ დავითის ძე გურიელი (1819-1891 წწ.).

გრივოლის მამა დავით გურიელი გიორგი V გურიელის შვილი გახლდათ. გურიის სამთავროს რუსეთთან შეერთების შემდეგ სტამბულში გადასახლდა და იქ გარდაიცვალა. მამის სტამბულში წასვლის შემდეგ პატარა გრივოლი კინტრიმის ხეობაში გაიზარდა. გრივოლმა შეიყვარა ეს მხარე. 1850 წელს მას უკვე ჰქონდა პორუჩიკის, შემდეგ პოლკოვნიკის და გენერალ-მაიორის წოდება, რომელიც მან მიიღო სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ. თანამედროვეთა გადმოცემით, გრივოლი თავისუფლად ფლობდა ქართულ, თათურულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. ამის შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერდა: „გრივოლი იყო ქართველთა შორის პატივცემული მოღვაწე, პატიოსანი და სათნო კაცი“.

გრივოლ გურიელი აქტიურად მონაწილეობდა „ყირიმის ომში“, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. ომამდე სასაზღვრო ჯარების უფროსი იყო. ბათუმის მხარის შემოერთების შემდეგ, ერთი წელი ჩურუქსუმი (ქობულეთი) ყოფნისას მასთან ბევრი გამაჰმადიანებული ქართველი დადიოდა. ბევრს გაუწია დახმარება, ბევრი ქართული წიგნი მიჰქონდა მათთან, უნერგავდა საქართველოს სიყვარულს. სპეციალურად ოზურგეთში, როცა სტამბა გაიხსნა, დაბეჭდვინა ქართული ლოცვები, რომელიც ზ. ჭიჭინაძემ გაავრცელა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ქართველმა მაჰმადიანებმა ოსმალეთში გადასახლება დაიწყეს. ბევრს ცდილობდა გრივოლი, რომ ქართველი მაჰმადიანები თავიანთ ქვეყანაში დარჩენილიყვნენ, ბევრმა თავი შეიკავა კიდევ თურქეთში გადასახლებაზე.

გენერალი გრივოლ გურიელი გარდაიცვალა ოზურგეთში, 1891 წელს. მისი სახელი საბუდამოდ დარჩა ერის ცნობიერებაში იმის მაგალითად თუ როგორ უნდა იღვაწოს ჭეშმარიტმა მამულიშვილმა.

**მანანა ლომაძე,**  
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი



# მოუოს ეთ, „ბატონებო“! სიუპრიზიც ასეთი უნდა



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონულ წარმომადგენლობაში ერთ თაარაიძისა და ნანა ვალიშვილის სტუმრობისას ცნობილი გახდა, რომ ოზურგეთის სალოტბარო სკოლის ხალხური მუსიკალური მიმართულების კოორდინატორს მია გელაშვილს გამოცემული აქვს წიგნი „მხარულ-ბრაზანი ბატონები“. მასში ასახულია თუ როგორ ხვდებიან და უძღვებიან „ბატონების“ დაბრძანებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

„ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გაჩნდა იდეა სურპრიზი მოგვეწყო ამ მართლაც შესანიშნავი წიგნის არანაკლებ შესანიშნავი ავტორისთვის, ჩვენი

ორგანიზაციის ხალხური მუსიკალური მიმართულების კოორდინატორისთვის, ქალბატონი მია გელაშვილისთვის“, – ვითხრა 24 აპრილს ღონისძიებაზე მისულ „ალიონის“ ჟურნალისტებს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ბატონმა ავთანდილ სურგულაძემ.

დამსწრე საზოგადოების რაოდენობა და მრავალფეროვნებით თუ ვიზუალებით, ღონისძიებისადმი ინტერესი დიდი იყო. სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა ზუსტად შესასრულეს ის რიტუალები და სიმღერები, რომლითაც ხვდებოდნენ და ხვდებიან საქართველოს

სხვადასხვა კუთხეში „ბატონებს“. ცნობისათვის – „ბატონების“ ნებისმიერი სახეობის (სულ 7 სახეობა) დაბრძანებისადმი განსხვავებული რიტუალები იმართებოდა.

შობლებმა და პედაგოგებმა დამსწრე საზოგადოებამ მულოცეს ქალბატონ მიას ესოდენ საჭირო ქართული საბავშვო წიგნის გამოცემა, გაისვენეს მათი ბავშვობა, თუ როგორ უგალობდნენ თავიანთ ოჯახებში დაბრძანებულ „ბატონებს“.

როგორც ავთანდილ სურგულაძემ აღნიშნა, ღონისძიება ფინანსურად უზრუნველყო შპს „მოღერნა“:

„ამ საქმეში მხარდაჭერა ვიხვეთ შპს „მოღერნა“, ბატონ მერაბ ვასაძეს, რაზეც დავთანხმდა და ქალბატონმა ირინა ინარიძემ ფაქტობრივად შესასრულა კარგი მისია, პრეზენტაციის შემდეგ „მოღერნის“ მიერ საქაღალურად ამ ღონისძიებისთვის გაკეთებული ტორტით, ტკბილეულითა და სასმელებით გაუმსპინძლდა ღონისძიების მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. თქვენი გაზუვის საშუალებით, მიწა მადლობა გადავუხადო „მოღერნს“ ხელმძღვანელობას გამოჩენილი გულისხმობებისა და მხარდაჭერისათვის.

ღონისძიებას სხვადასხვა ასაკის 100-მდე ოზურგეთელმა ხმა შეუერთა საგალობელს „მოუოს ეთ, „ბატონებო“.

# პირველკლასელის პირველი წარმატება

ლიზი დიასამიძე – სოფელ მერიის საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე (კლასის დამრიგებელი ნუნუ ჭაბუკიანი) მონაწილეობდა ჩაღლარის სკოლა ლიცეუმ „სხივის“ VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, რომელიც ქართული ენის დღისადმი იყო მიძღვნილი. ღონისძიება ქალაქ ბათუმში გაიმართა. ლიზიმ გაიმარჯვა ნომინაციაში „საკეთესო მუსიკალური ნომერი“. მონაწილეობდა ასევე თბილისში გამართულ კონკურსში, სადაც საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. შეასრულა ინოლა გურგულიას „იანანა“, რომლის დამუშავებაში დახმარება გაუწია ოზურგეთის სამუსიკო სკოლის მასწავლებელმა შორენა გოგოლაშვილმა.



პირველკლასელ ლიზი დიასამიძეს პირველ წარმატებას ვულოცავთ მერიის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

ციური ბაბილოძე, სკოლის ადმინისტრატორი

# ფოტოს ბრაფისა და ფოტოს ბრაფინიას გამოფენა ოზურგეთში



„არსად ისე“... – ასე ჰქვია ფოტოგალერეა „კონტინენტის“ დამფუძნებლების გურამ წიბახაშვილისა და

თინათინ კილურაძის თემატურ გამოფენას, რომელსაც ოზურგეთის თანამედროვე სახეობის ხელოვნებისა და სურათების გალერეა მასპინძლობს.

გამოფენა 21 აპრილს გაიხსნა და 5 მაისამდე გასტანს. ასე რომ, ნუ გაუშვებთ შანსს და ვისაც გსურთ, იხილოთ თანამედროვე ფოტოს გრაფისა და ფოტოს გრაფინიას (თანაც გურულის) გურიაში, გურიაზე შექმნილი შედეგები, ნახეთ ეს გამოფენა. დარწმუნდებით, რომ ფოტოხელოვანებიც არსად ისე არ იღებენ, როგორც აქ, ამ ქვეყანაში.

# მე-17 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

საქართველოში უცხოელი ტურისტების რაოდენობის გაზრდისთვის და კერძო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“, 16-18 აპრილს, მე-17 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა გაიმართა.

50 საგამოფენო სტენდზე, 150-მდე ადგილობრივი და უცხოური ორგანიზაციები და ტუროპერატორები იყვნენ წარმოდგენილი. მათ შორის იყო გურიის საგამოფენო სტენდიც, რომელიც ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა ერთობლივად მოამზადეს.



გამოფენაში მონაწილეობდნენ საქართველო, სომხეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ტაილანდი, შვეიცარია, რუსეთი, ლიტვა და პოლონეთი.

# ქართული ენისადმი მიძღვნილი ზეიმით მერიის ბიბლიოთეკაში



23 აპრილს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა სოფელ მერიის ბიბლიოთეკაში. შეხვედრაზე, რომლის დღეები გახლდათ

„ო, ენა ჩემო, დედა ენა“ კიდევ ერთხელ ისაუბრეს 14 აპრილის მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში, ადამიანებზე, რომლებმაც იმ

დროისათვის გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი აზროვნება.

მერიის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შთაბეჭდილად წაიკითხეს ქართველი კლასიკოსების ლექსები, წარმოადგინეს ინსცენირება ნოდარ ლუშაძის მოთხრობების მიხედვით. მათი სისარული საბავშვო ბალის აღსაზრდელებმაც გაიზარეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წევრები, სამუშეომო-საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლებთან ერთად.

ა(ა)ი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუშეომო-საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ქალბატონმა რუსუდან მეგრინიშვილმა ბიბლიოთეკას საქუქრად ახალი წიგნები გადასცა.

# შეხვედრა მწერალ ტორესა მოსი-ისტან

24 აპრილს ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა მწერალ ტორესა მოსი-ისტან (ვახტანგ მოსიაშვილი). სტუმარს მიღებული აქვს იურიდიული განათლება და წარმატებით მუშაობდა თავისი პროფესიით, მას ასევე მიღებული აქვს მუსიკალური განათლება. მისი ავტორობით გამოცემულია ორი წიგნი: „სიბრძნე სიცრუისა“ და „მე/შენ ქრისტი ხარ“. ახალგაზრდა მწერალი შეხვდა ლიდერთა სკოლის მოსწავლეებს. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში და განიხილეს აღნიშნული ნაწარმოებები.

# „არწივებმა“ ტურნირი ასპროცენტრიან უძღვებით დაამთავრეს

ალიონი. დასავლეთ საქართველოს რეგიონულ ჩემპიონატში ოზურგეთის „არწივებმა“ ყველა შეხვედრა მოიგეს და ტურნირი ასპროცენტრიან უძღვებით დაამთავრეს. გასულ პარასკევს, მე-12 ტურში „არწივებმა“ საჩხერის „ჯგურუკს“ უმასპინძლეს და 25:20 მო-

უგეს. ოზურგეთელებმა 4 ლელო დადეს. მათ ჩემპიონატი 53 ქულით დაამთავრეს.

როგორც კლუბის მენეჯერმა გელა გობრონიძემ ვითხრა, გუნდი პირველ ლიგაში გადასასვლელად პლეი ოფისთვის ემზადება. მთავარი მწვერთელი მინდია ღლონტი 3

მაისიდან 14 დღის განმავლობაში გუნდს ქ. ბათუმში მოამზადებს. პლეი ოფის შეხვედრები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონულ ჩემპიონატში გამარჯვებულ თბილისის ივერია-არმისთან 17 და 24 მაისს გაიმართება.

# პირველკლასელის პირველი წარმატება

ლიზი დიასამიძე – სოფელ მერიის საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე (კლასის დამრიგებელი ნუნუ ჭაბუკიანი) მონაწილეობდა ჩაღლარის სკოლა ლიცეუმ „სხივის“ VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, რომელიც ქართული ენის დღისადმი იყო მიძღვნილი. ღონისძიება ქალაქ ბათუმში გაიმართა. ლიზიმ გაიმარჯვა ნომინაციაში „საკეთესო მუსიკალური ნომერი“. მონაწილეობდა ასევე თბილისში გამართულ კონკურსში, სადაც საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. შეასრულა ინოლა გურგულიას „იანანა“, რომლის დამუშავებაში დახმარება გაუწია ოზურგეთის სამუსიკო სკოლის მასწავლებელმა შორენა გოგოლაშვილმა.

# სარსანიას სახელობის ტურნირზე

14-17 აპრილს ქალაქ ფოთში ჩატარდა შურაბ სარსანიას სახელობის რესპუბლიკური ტურნირი კრიკეტი 2000-2002 წლებში დაბადებული შორის. მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 19 გუნდი. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის სასპორტო სკოლის ნაკრები გუნდიდან მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს 38 კვ წონით კატეგორიაში ოთარ აბესაძემ და 57 კვ წონით კატეგორიაში ირაკლი უგრეხელიძემ (მწვერთელი თულ საჯაია).

მზე, ღრუბელი +8+16 27 აპრილი ორშაბათი	მზე, ღრუბელი +11+18 28 აპრილი სამშაბათი	მზე, ღრუბელი +14+22 29 აპრილი ოთხშაბათი	წვიმა, +9+16 30 აპრილი ხუთშაბათი	წვიმა, +10+14 1 მაისი პარასკევი	მზე, +15+21 2 მაისი შაბათი	მზე, ღრუბელი +16+23 3 მაისი კვირა
--	--	--	-------------------------------------	------------------------------------	-------------------------------	--------------------------------------

# 7 დღის ამინდის პროგნოზი